

ძალაშია 1999 წლის 1 მარტიდან

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ

საქართველო
და
ნიდერლანდების სამეფო

აქ და შემდგომში მოხსენებული, როგორც ხელშემკვრელი მხარეები,

სურთ რა განამტკიცონ მეგობრობის ტრადიციული კავშირები, გააფართოვონ და გააძლიერონ ეკონომიკური ურთიერთობები ერთმანეთს შორის, განსაკუთრებით იმ ინვესტიციებთან მიმართებაში, რომლებსაც ახორციელებენ ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორები მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე,

აღიარებენ რა, რომ ასეთი ინვესტიციების რეჟიმის თაობაზე შეთანხმება წახალისებს კაპიტალისა და ტექნოლოგიის ურთიერთგაცვლას, ხელშემკვრელი მხარეების ეკონომიკურ განვითარებას და რომ ინვესტიციების ეს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი რეჟიმი სასურველია,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

(a) ტერმინი „ინვესტიციები“ ნიშნავს ყველა სახის ქონებრივ ფასეულობას და კერძოდ მოიცავს (თუმცა ამით არ შემოიფარგლება):

(i) მოძრავ და უძრავ ქონებას, ისევე, როგორც სხვა რომელიმე უფლებას in rem ყველა სახის ქონებრივ ფასეულობასთან მიმართებაში;

(ii) კომპანიებში და ერთობლივ საწარმოებში წილობრივი აქციებით და სხვა სახით მონაწილეობიდან გამომდინარე უფლებებს;

(iii) მოთხოვნის უფლებას თანხაზე, სხვა ქონებრივ ფასეულობაზე ან რომელიმე საქმიანობაზე, რომელსაც ეკონომიკური ღირებულება გააჩნია;

(iv) უფლებებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, ტექნიკურ პროცესებს, გუდვილს და ნოუ-ჰაუსს;

(v) კანონით ან კონტრაქტით მინიჭებული უფლებებს, მათ შორის ბუნებრივი რესურსების ძიების, გადამუშავების და ბუნებრივი რესურსების მოპოვების უფლებების ჩათვლით.

(b) ტერმინი „ინვესტორი“ მოიცავს:

(i) საქართველოსთან მიმართებაში: ფიზიკურ პირებს, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები;

ნიდერლანდების სამეფოსთან მიმართებაში: ფიზიკურ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ნიდერლანდების სამეფოს ქვეშევრდომობა;

(ii) თითოეულ ხელშემკვრელ მხარესთან მიმართებაში: ამ ხელშემკვრელი მხარის – კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ იურიდიულ პირებს;

(iii) თითოეულ ხელშემკვრელ მხარესთან მიმართებაში:

იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან დაფუძნებულნი ამ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ კონკრულირდებიან პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით (I) პუნქტში განსაზღვრული ფიზიკური პირების მიერ ან (ii) პუნქტში განსაზღვრული იურიდიული პირების მიერ.

(c) გერმინი „გერიგორია“ მოიცავს:

საქართველოსთან მიმართებაში: საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ მთელ გერიგორიას შიდა და გერიგორიული წყლების ჩათვლით. განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონასა და კონგინენტურ შეღწეს, რომელთა მიმართ საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია და სუვერენული უფლებები;

ნიდერლანდების სამეფოსთან მიმართებაში: გერიგორიული წყლების მოსაზღვრე სივრცეს, რომელიც ნიდერლანდების სამეფოს კანონისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად წარმოადგენს ნიდერლანდების სამეფოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას ან კონგინენტალურ შეღწეს, რომელზეც ვრცელდება მისი იურისდიქცია ან სუვერენული უფლებები.

მუხლი 2

თითოეული ხელშემკვრელი მხარე თავისი კანონებისა და წესების ფარგლებში თავის გერიგორიაზე ხელს შეუწყობს ეკონომიკურ თანამშრომლობას, მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების ინვესტიციების დაცვით. გამოიყენებს რა თავისი კანონებით ან წესებით მინიჭებულ უფლებას, თითოეული ხელშემკვრელი მხარე სცნობს ასეთ ინვესტიციებს.

მუხლი 3

(1) თითოეული ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტიციების ინვესტიციებს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი რეჟიმით და დაუსაბუთებელი ან დისკრიმინაციული ხერხებით არ შეუშლის ხელს ამ ინვესტორებს ინვესტიციათა, წარმართვაში, მართვაში, გამოყენებაში, სარგებლობასა და გადაცემაში. თითოეული ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს ასეთი ინვესტიციების სრულ ფიზიკურ უსაფრთხოებასა და დაცვას.

(2) უფრო კონკრეტულად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე ასეთი ინვესტიციების მიმართ გამოიყენებს რეჟიმს, რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ იქნება იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე იგი იყენებს თავისი ინვესტორების ან რომელიმე მესამე სახელმწიფო ინვესტორების ინვესტიციების მიმართ, იმისდა მიხედვით, თუ რომელია უფრო ხელსაყრელი, აღნიშნული ინვესტორისათვის.

(3) თუ ხელშემკვრელმა მხარემ მიანიჭა რომელიმე მესამე სახელმწიფოს ინვესტორს განსაკუთრებული პრივილეგიები ხელშეკრულებებით, რომლებიც ქმნიან საბაჟო კავშირებს, ეკონომიკურ კავშირებს, სავალუტო კავშირებს ან მსგავს გაერთიანებებს, ან შეთანხმებების საფუძველზე, რომლებიც მიმართულია ასეთი კავშირების ან გაერთიანებების შესაქმნელად, ეს ხელშემკვრელი მხარე არ იქნება ვალდებული მიანიჭოს ასეთი პრივილეგიები მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებს.

(4) თითოეული ხელშემკვრელი მხარე შეასრულებს ნებისმიერ ვალდებულებას, რომელიც მან შეიძლება აიღოს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების ინვესტიციებთან მიმართებაში.

(5) თუ თითოეული ხელშემკვრელი მხარის კანონის დებულებები ან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად უკვე არსებული ან ხელშემკვრელ მხარეებს შორის შემდგომში, ამ შეთანხმების დამატებით აღებული ვალდებულებები, რომლებიც ზოგადად თუ კერძოდ ანიჭებენ მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს უფრო ხელსაყრელ რეჟიმს, ვიდრე დადგენილია ამ შეთანხმებით, მაშინ ამ წესებს, როგორც უფრო ხელსაყრელს, მიენიჭება უპირატესობა ამ შეთანხმებაზე.

მუხლი 4

გადასახადებთან, ხელფასებთან, მოსაკრებლებთან, საბიუჯეტო გადასახადებთან და შეღავათებთან მიმართებაში თითოეული ხელშემკვრელი მხარე მეორე ხელშემკვრელი მხარის იმ ინვესტორებს, რომლებიც არიან ჩართულნი ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობაში მის ტერიტორიაზე, შეუქმნის იმაზე არანაკლებ ხელშემწყობ რეჟიმს, ვიდრე იგი ანიჭებს თავის ინვესტორებს ან ნებისმიერ მესამე სახელმწიფოს ინვესტორებს, იმისდა მიხედვით, თუ რომელია უფრო ხელსაყრელი ნახსენები ინვესტორებისათვის. მაგრამ, ისინი არ ეხება განსაკუთრებულ საგადასახადო შეღავათებს, მინიჭებულთ ამ მხარის მიერ:

(a) ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულებით; ან

(b) საბაჟო კავშირში, ეკონომიკურ კავშირში ან მსგავს გაერთიანებებში მათი მონაწილეობის საფუძველზე; ან

(b) მესამე სახელმწიფოსთან ნაცვალგების საფუძველზე.

მუხლი 5

ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადასახადების გადარიცხვის შესაძლებლობას. გადარიცხვები უნდა განხორციელდეს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, შეზღუდვის ან შეფერხების გარეშე. ასეთი გადარიცხვები კერძოდ მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

a) მოგებებს, საბანკო პროცენტს, ღირვინებს და სხვა მიმდინარე შემოსავლებს;

b) სახსრებს, რომელიც საჭიროა

(i) ნელეულის და შემცველი მასალების, ნახევარფაბრიკატების ან მზა

პროდუქციის შესასყიდად, ან

(ii) ინვესტიციების უწყვეტობის დაცვის მიზნით ძირითადი საშუალებების განთავსებისათვის;

- c) დამატებით ფონდებს, აუცილებელს ინვესტიციების განვითარებისათვის;
- d) სესხის დასაფარავ სახსრებს;
- e) როიალთის ან ჰონორარებს;
- f) ფიზიკური პირების შემოსავლებს;
- g) ინვესტიციების გაყიდვიდან ან ლიკვიდაციიდან წარმოქმნილ შემოსავლებს;
- h) გადასახადებს, რომელნიც მე-7 მუხლითაა გათვალისწინებული

მუხლი 6

არც ერთი ხელშემკვრელი მხარე არ მიიღებს ზომებს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტიციების ინვესტიციების ჩამოსართმევად, პირდაპირი ან არაპირდაპირი გაზით, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებების არსებობის შემთხვევისა:

a) როდესაც ზომები მიღებულია საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე და კანონით გათვალისწინებული წესით;

b) როდესაც მიღებული ზომები არ არის დისკრიმინაციული ან არ ეწინააღმდეგება ზომების მიმღები მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს;

c) როდესაც ზომები გარდება კომპენსაციის სანაცვლოდ. ასეთი კომპენსაცია გამოიხატება დაზარალებული ინვესტიციების რეალური ღირებულებით, შეიცავს პროცენტს ნორმალურ კომერციულ დონეზე გადახდის ღირებულება და იმისათვის, რომ იყოს ქმედითი მოთხოვნის წარმოდგენისათვის, უნდა იყოს გადახდილი და შეფერხების გარეშე გადასარიცხად შესაძლებელი, აღნიშნული მოთხოვნის წარმდგენის მიერ მითითებულ ქვეყანაში და იმ ქვეყნის ვალუტით, რომლის ინვესტორი არის მოთხოვნის წარმდგენი ან ნებისმიერი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით, რომელიც მისაღებია მოთხოვნის წარმოდგენისათვის.

მუხლი 7

ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტიციები, რომლებიც განიცდიან ზარალს თავის ინვესტიციებთან მიმართებაში მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, რაც გამოწვეულია ომით ან სხვა შეიარაღებული კონფლიქტით, რევოლუციით, საგანგებო მდგომარეობით, აჯანყებით, ბუნტით ან არეულობით, ეს მეორე მხარე რესტიტუციის, ზარალის ანაზღაურების, კომპენსაციის ან სხვა სახით მოგვარებისას, არ შეუქმნის პირველ ხელშემკვრელ მხარეს იმაზე ნაკლებად ხელსაყრელ რეჟიმს, ვიდრე იგი უქმნის თავის საკუთარ ინვესტორს, ან რომელიმე მესამე სახელმწიფოს ინვესტორს, იმისდა მიხედვით, თუ რომელია უფრო ხელსაყრელი ნახსენები ინვესტორისათვის.

მუხლი 8

თუ ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორის ინვესტიციები დაზღვეულია არაკომერციული რისკისაგან ან სხვაგვარად გამოიწვევენ ანაზღაურების გადახდას, ასეთი ინვესტიციების მიმართ კანონით, წესებით ან სამთავრობო კონტრაქტით დადგენილი წესით, ნებისმიერი დამზღვევის, გადაზღვევის, ან ერთი ხელშემკვრელი

მხარის მიერ უფლებამოსილი სააგენტოსათვის ნახსენები ინვესტორის უფლებებს სუბროგაციას სცნობს მეორე ხელშემკვრელი მხარე ასეთი დაზღვევის პირობების შესაბამისად ან ნებისმიერი სხვა ანაზღაურების საფუძველზე.

მუხლი 9

თითოეული ხელშემკვრელი მხარე აცხადებს თანხმობას წარუდგინოს საინვესტიციო დაგეგმვის მოგვარების საერთაშორისო ცენტრს მორიგებით ან განსჯით მორიგეობისათვის ნებისმიერი იურიდიული დავა, რომელიც წარმოიშვა ამ ხელშემკვრელ მხარესა და მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორს შორის ამ უკანასკნელის ინვესტიციებთან დაკავშირებით პირველი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, სახელმწიფოებსა და სვა სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დაგეგმვის მოგვარების შესახებ კონვენციის შესაბამისად, რომელიც გაიხსნა ხელმოსაწერად ვაშინგტონში 1965 წლის 18 მარტს. იურიდიული პირი, რომელიც არის ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორი და რომელიც ამ დავის წამოჭრამდე იყო მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების კონტროლის ქვეშ, კონვენციის მიზნებისათვის კონვენციის 25 მუხლის (2) (b) პუნქტის თანახმად განხილული უნდა იყოს, როგორც მეორე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე.

მუხლი 10

ამ შეთანხმების დებულებები, მათი ძალაში შესვლის თარიღიდან გამოყენებული იქნება აგრეთვე იმ ინვესტიციებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელდა ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღამდე.

მუხლი 11

თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია შესთავაზოს მეორე მხარეს კონსულტაციების ჩაგარება ამ შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. მეორე მხარე გამოიჩინს სათანადო ყურადღებას ამ წინადადების მიმართ და მისცემს ადექვატურ შესაძლებლობას ასეთი კონსულტაციების ჩასატარებლად.

მუხლი 12

(1) ამ შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ხელშემკვრელ მხარეებს შორის, რომელიც ვერ მოგვარდება დიპლომატიური მოლაპარაკებების საფუძველზე დროის გონივრულ პერიოდში, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, რომელიმე მხარის მოთხოვნით განსახილველად გადაეცემა საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელიც შედგება სამი წევრისაგან. თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამგვარ დანიშნული ორი არბიტრი ერთობლივად აირჩევს მესამე არბიტრს, როგორც თავმჯდომარეს, რომელიც არ იქნება არც ერთი მხარის მოქალაქე.

(2) თუ ერთ-ერთი მხარე ვერ წარადგენს თავის არბიტრს ასეთი დანიშვნის შესახებ მეორე მხარის მოწვევის შემდეგ ორი თვის განმავლობაში ამ უკანასკნელ

მხარეს შეუძლია მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს მის მიერ აუცილებელი დანიშვნების განსახორციელებლად.

(3) თუ ორ არბიტრს არ შეუძლია მიაღწიოს შეთანხმებას მესამე არბიტრის არჩევის შესახებ მათი დანიშნიდან ორი თვის განმავლობაში, თითოეულ მხარეს შეუძლია მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს მის მიერ აუცილებელი დანიშვნების განსახორციელებლად.

(4) თუ ამ მუხლის (2) და (3) პუნქტში განსაზღვრულ შემთხვევებში საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტი ვერ ასრულებს ნახსენებ ფუნქციას ან თუ ის ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა, მაშინ აუცილებელი დანიშვნებისათვის მოწვეული უნდა იყოს ვიცე-პრეზიდენტი. თუ იცე-პრეზიდენტი ვერ ახერხებს აღნიშნული ფუნქციის შესრულებას ან თუ იგი ერთ-ერთი მხარის მოქალაქეა, მაშინ აუცილებელი დანიშვნებისათვის მოწვეული უნდა იყოს საერთაშორისო სასამართლოს რანგით შემდეგი წევრი, რომელიც არ იქნება არც ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე.

(5) სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს კანონის პატივისცემის საფუძველზე. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე საქმის მსვლელობის ნებისმიერ საფეხურზე სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს მოაგვარონ დავა მეგობრულად. გემოაღნიშნული დებულებები ბიანს არ მიაყენებენ დავის მოგვარებას *ex aequo et bono* თუ მხარეები შეთანხმდებიან ამგვარად.

(6) თუ მხარეები არ მიიღებენ სხვა გადაწყვეტილებას, საარბიტრაჟო სასამართლო თვითონ განსაზღვრავს თავის პროცედურას.

(7) სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით. ეს გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება ორივე მხარისათვის.

(8) ხელშემკვრელ მხარეთაგან თითოეული უმრუნველყოფს სასამართლოს თავისი წევრისა და საარბიტრაჟო პროცესებში თავისი წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურებას. თავმჯდომარისა და სხვა დარჩენილ ხარჯებს ორივე მხარე გაანაწილებს თანაბრად. თავისი გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია ხარჯები გადაანაწილოს და ერთ-ერთ ხელშემკვრელ მხარეს ხარჯების გადახდის უფრო დიდი წილი მიაკუთვნოს და ეს გადაწყვეტილება ორივე მხარისათვის სავალდებულოა.

მუხლი 13

ნიდერლანდების სამეფოსთან მიმართებაში ეს შეთანხმება გამოიყენება ევროპაში სამეფოს ნაწილთან, ნიდერლანდების ანგილებთან და არუბასთან, თუ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული მ -14 მუხლის (1) პუნქტში აღნიშნული შეტყობინებით.

მუხლი 14

(1) ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელშემკვრელი მხარეების მიერ მათი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შესახებ თითოეული მხარის მიერ ერთმანეთის წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღიდან მეორე თვის პირველ დღეს და რჩება ძალაში 15 წლის განმავლობაში.

(2) თუ რომელიმე ხელშემკვრელი მხარის მიერ ამ შეთანხმების მოქმედების

ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ექვსი თვით აღრე არ იქნა გადაგზავნილი შეტყობინება შეთანხმების შეწყვეტის შესახებ, იგი ავტომატურად გაგრძელდება ათწლიანი პერიოდებით, ამასთან ერთად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე იტოვებს შეტყობინების საშუალებით შეთანხმების შეწყვეტის უფლებას, მისი მიმდინარე მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღამდე არაუგვიანეს ექვსი თვით აღრე.

(3) ამ შეთანხმების შეწყვეტის თარიღამდე განხორციელებულ ინვესტიციებთან მიმართებაში გემოსხენებული მუხლები დარჩება მოქმედებაში ამ თარიღიდან მომდევნო თხუთმეტი წლის განმავლობაში.

(4) ამ მუხლის (2) პუნქტში ნახსენებ პერიოდში ნიდერლანდების სამეფოს ენიჭება უფლება შეწყვიტოს ამ შეთანხმების გამოყენება სამეფოს ნებისმიერ ცალკეულ ნაწილებთან მიმართებაში.

ამის დასტურად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ ხელის მომწერებმა ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას.

ხელმოწერილია 1998 წლის 3 თებერვალს ქ. თბილისში, ქართულ, ნიდერლანდურ და ინგლისურ ენებზე, ყველა ტექსტი თანაბარ ავთენტურია. ინტერპრეტაციის დროს განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს სახელით

ნიდერლანდების სამეფოს სახელით: